შედგა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრება

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.05.2026. 2026 წლის 29 აპრილიდან 5 მაისამდე, გერმანიის ქალაქ ბუხენდორფში, წმინდა მოწამე დიდი მთავრინა ელისაბედის სახელობის დედათა მონასტერში, გერმანიის ეპარქიის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება გაიმართა.

კრების სხდომებში, რომლებსაც რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველიერარქი, აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტი ნიკოლოზი თავმჯდომარეობდა, მონაწილეობას იღებდნენ ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტი მარკოზი, სან-ფრანცისკოსა და დასავლეთ ამერიკის მთავარეპისკოპოსი კირილე, მონრეალისა და კანადის მთავარეპისკოპოსი გაბრიელი, კარკასისა და სამხრეთ ამერიკის ეპისკოპოსი იოანე, ლონდონისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსი ირინეოსი, მანჰეტენის ეპისკოპოსი თეოდოსი, სირაკუზის ეპისკოპოსი ლუკა, სონორის ეპისკოპოსი

იაკობი, შტუტგარტის ეპისკოპოსი იობი, ტორონტოს ეპისკოპოსი სპირიდონი, ბოსტონის ეპისკოპოსი მიქაელი და სიეტლის ეპისკოპოსი პეტრე.

30 აპრილს გამართულ კრების სხდომაზე დადგინდა: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდისადმი შეთავაზებულ იქნას ალაპაევის წმინდა მოწამეთა წმინდა ნაწილების იერუსალიმში გადასვენების დღესასწაულის (17/30 იანვარი) საერთო საეკლესიო კალენდარში შეტანა.

იმავე დღეს შეიქმნა ბიოეთიკის კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ შტუტგარტის ეპისკოპოსი იობი და სირაკუზის ეპისკოპოსი ლუკა. მათ უფლება მიეცათ, კომისიის შემადგენლობაში შეიყვანონ საეკლესიო მოღვაწეები და მეცნიერები მართლმადიდებელი საერო წრეებიდან.

1 მაისს გერმანიის ეპარქიამ მიუნხენში, წმინდა ახალმოწამეთა და აღმსარებელთა საკათედრო ტაძარში, საზეიმო საღვთო ლიტურგიით აღნიშნა **თავისი დაარსების 100 წლისთავი.** წირვას წარუძღვა რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველიერარქი, აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტი ნიკოლოზი. მას თანამსახურება გაუწია რსმე-ის ყველა იერარქმა, ასევე პრესპანისა და პელაგონიის მიტროპოლიტმა პეტრემ (მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესია); ბერლინისა და გერმანიის ეპარქიის მმართველმა, რუზკის მთავარეპისკოპოსმა ტიხონმა; რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სულიერი მისიის ხელმძღვანელმა, არქიმანდრიტმა რომანმა (კრასოვსკი); საკათედრო ტაძრის მეკლიტურმა, დეკანოზმა ნიკოლოზ არტემოვმა; გერმანიის ეპარქიის დაახლოებით 100 სასულიერო პირმა; მოწვეული სამღვდელოებამ.

2 მაისს ეპისკოპოსთა კრებამ განიხილა ნეტარხსენებულ მღვდელმონოზონ სერაფიმეს (როუზი) ცხოვრების, მემკვიდრეობისა და აღიარების შესწავლის კომისიის თავმჯდომარის, სონორის ეპისკოპოს იაკობის, მოხსენება. კრებამ, აღიარა რა ნეტარხსენებულ მღვდელმონოზონ სერაფიმეს (როუზი) ცხოვრების გზის ღვთისსათნოობა, დაადგინა, იკურთხოს მისი საეკლესიო განდიდების პროცესის მომზადება, ღირს მამათა დასში მის შესარაცხად.

4 მაისს კრებამ განაჩინა მონრეალისა და კანადის მთავარეპისკოპოს გაბრიელის გათავისუფლება შუა ამერიკის ეპარქიის მმართველობიდან მადლობის გამოცხადებით მისი შრომისთვის, ხოლო ყოვლადუსამღვდელოესი სპირიდონი დაადგინა ჩიკაგოსა და შუა ამერიკის ეპისკოპოსად.

კრებამ ასევე აირჩია ეპისკოპოსთა სინოდის წევრები, რომელთა შორის არიან: ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტი მარკოზი – თავმჯდომარის პირველი მოადგილე; სან-ფრანცისკოსა და დასავლეთ ამერიკის მთავარეპისკოპოსი კირილე – თავმჯდომარის მეორე მოადგილე და მდივანი; მონრეალისა და კანადის მთავარეპისკოპოსი გაბრიელი; ლონდონისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსი ირინეოსი – მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების მდივანი; მანჰეტენის ეპისკოპოსი თეოდოსი – მდივნის მოადგილე; შტუტგარტის ეპისკოპოსი იობი. სათადარიგო წევრად არჩეულ იქნა სიეტლის ეპისკოპოსი პეტრე.

5 მაისს, ეპისკოპოსთა კრების ბოლო სხდომაზე, რომელიც გაიმართა ზაიფრიდსბერგში წმინდა იობის სახელობის ახალი მამათა მონასტრის სხდომათა დარბაზში, მღვდელთმთავრებმა განიხილეს და მიიღეს კრების ეპისტოლის ტექსტი. იმავე დღეს გაიმართა სამღვდელთმთავრო სინოდის გაფართოებული სხდომა, რომელმაც ოფიციალურად დაადასტურა სამღვდელთმთავრო კრების განჩინებები, – **იტყობინება** რუსეთის საზღავრგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ვებგვერდი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/94252/